

კონსტიტუციული სურათის შესახებ
პარიზი. 1921 წ.

ყოველი საგნის დინამიურობა მისი კონს-
ტიტუციითაა განპირობებული.

ცხოვრების რიტმი აირეკლება კაცის ხელით
ნაკეთებ ყველა საგანში, უმშვენიერესი სურათით
მოკიდებული, სულ უმნიშვნელო წვრილმანით დამ-
თავრებული.

თანამედროვე ცხოვრება ინდივიდუალიზმის პი-
პერტროფული განვითარებით ხასიათდება, რაიც
შედეგია რომანტიული იდეოლოგიისა.

აუცილებლობა მოითხოვს უარი ვთქვათ რო-
მანტიულ მეთოდზე შემოქმედებაში და იგი
კლასიკური მეთოდით შევცვალოთ.

ქართველი მხატვრების ლადო გუდიშვილის,
დავით კაკაბაძისა და
შალვა ქიქოძის ნამუშევართა გამოფენა

15 აპრილიდან 28 აპრილამდე

ჩამს სურათებში თავად 3060,
რასაც ვაკათებ.

მხოლოდ უგუნურთ შეუძლიათ იფიქრონ, რომ ამერიკა ქრისტე-
ფორე კოლუმბის აღმოჩენილია.

ვინც ამერიკას სწვევია, თავად შეუძლია მიიწეროს პატივი მისი
აღმოჩენისა.

ცალკეულ ინდივიდს როდი უნდა მივაწეროთ აღმოჩენა, რადგან
ა ხ ა ლ ი იმათ საუკუნოვან ძვლებზე იქმნება, ვინც შრომობს.

ადამიანის აზრის ყველა მიღწევა სხვა არა არის რა, თუ არა შე-
დეგი ბევრთა მუყაითი და მრავალსაუკუნოვანი შრომისა.

კაცი მხოლოდ მუშაობისას შეიცნობს თავის თავს და აჩენს თა-
ვის სულს.

ცხოვრების რიტმი კაცის ხელით შექმნილ
საგნებში ცნაურდება.

ამის გამოა, რომ თანამედროვე ცხოვრების რიტმი ხალხის ხე-
ლით შექმნილ ყველა საგანში მოჩანს – უმშვენიერესი სურათიდან
მოკიდებული, უკანასკნელი წვრილმანით გათავებული.

მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ თქვან, რომ ცხოვრების
რიტმს დაეძებენ.

მხატვრობა ხაზებითა და ფერებით გაცოცხლებული ზედაპირია.

სურათი ორგანზომილებიანი სიბრტყეა, ხაზებითა და ფერებით
გაცოცხლებული.

საგანთა ფორმას ხაზები გვაძლევენ.

სინათლეს ფერები იძლევიან.

ხაზებისა და ფერების სხვადასხვაგვარი კომპინაცია სხვადასხვა გაცოცხლებულ ზედაპირებს ჰქმნის.

ყველაზე უკეთ გაცოცხლებული ზედაპირი ყველაზე უკეთეს შე-დეგს აღწევს.

ხელოვნების ყველა მიღწევა ხაზებისა და ფერების კონსტრუქ-ციის სხვადასხვაგვარი კონცეფციითაა განპირობებული.

ხელოვნების ყველა მიღწევა უნდა მივიღოთ
პრეისტორიული ხანიდან ჩვენს დღემდე.

ყველანაირი ზედაპირის მოხატვა ანუ გაცოცხლება შეიძლება.

მაგრამ სურათი (გაცოცხლებული სიბრტყე) მხოლოდ ბრტყელ ზედაპირზე თუ გაკეთდება.

სურათს, როგორც საგანს, გარკვეული ადგილი უჭირავს ადამია-ნის ხელით ნაკეთებ ყველა სხვა საგანს შორის.

სურათს ჩვენს წარმოსახვაში იმის ტოლი ადგილი უნდა მივაკუთ-ვნოთ, რასაც ჩვენს ირგვლივ მყოფ სხვა საგნებს ვაკუთვნებთ ხოლმე და არა უმეტესი.

სურათი საგანია და მისი კონსტრუქცია ყველა სხვა საგნების აგე-ბულების ანალოგიური უნდა იყოს. საგნის შინაარსი მის ზედაპირზე სრულდება, ასევე შინაარსი სურათისა მის კიდეებთან უნდა მთავრ-დებოდეს.

ფოტოგრაფია, ეპიურა, ანტროპოდიური ანატომიური ატლასი ბრტყელი ზედაპირის მქონე გაცოცხლებულ საგანთა რიგს განეკუთ-ვნებიან.

დღესდღეობით საკუთრივ სურათს ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა.

თანაც სურათი რომ მუდამ გაკეთებული უნდა
იყოს, ეს ავიწყდებათ.

ჩვენს საუკუნეს ჯერ არ შეუქმნია დიდი ხელოვნება მხატვრო-ბაში.

ხელოვნებაში თითქმის იმდენივე მიმდინარეობა არსებობს, რამ-დენიც ხელოვანი.

თანამედროვე მიმდინარეობანი მხატვრობაში თითქმის ყოველ-თვის მათი დამაარსებლის სახელითაა წარმოდგენილი ინდივიდუა-

ლიზმის ჰიპერტონიული განვითარების გამთ — რაც რომანტიკული
იდეოლოგიის ნაყოფია.

ჩვენს საუკუნეს ღრღნის რომანტიზმი.

აუცილებელია სავსებით უარი ვთქვათ რომანტიკულ მე-
თოდზე ხელოვნებაში და იგი კლასიკური მეთოდით
შევცვალოთ.

მაშინ მხატვრობა, როგორც ცხოვრების ნაწილი, მძლავრ ფაქტო-
რად იქცევა და ყოველი გაკეთებული სურათი მაცოცხლებელ ძალას
შეიძენს.